## ქართული ენა და ლიტერატურა I - VI
## საგნობრივი ცოდნა

| | |
|---|---|
| 1 | დ |
| 2 | ბ |
| 3 | ა |
| 4 | ბ |
| 5 | გ |
| 6 | დ |

7.

| ა | ბ | გ | დ | ე | ვ |
|---|---|---|---|---|---|
| 5 | 2 | 6 | 8 | 3 | 7 |

8.

| ა | ბ | გ | დ | ე | ვ |
|---|---|---|---|---|---|
| 3 | 2 | 4 | 1 | 2 | 1 |

| 9 | მაქსიმალური ქულა: 2 |
|---|---|
| | 2 ქულა:<br>სწორად არის მოყვანილი **ორი** ზმნა, რომლებშიც **ი**, ერთი მხრივ, გამოხატავს **ა)** სათავისო (სასუბიექტო) და, მეორე მხრივ, **ბ)** სასხვისო (საობიექტო) ქცევას.<br>1 ქულა:<br>სწორად არის მოყვანილი მხოლოდ ერთი ზმნა.<br>0 ქულა:<br>არასწორად არის მოყვანილი ზმნა / ზმნები. |
| 10 | მაქსიმალური ქულა: 2 |
| | 2 ქულა:<br>ამოცნობილია დაშვებული შეცდომა და წარმოდგენილია მართებული ახსნა.<br><br>1 ქულა:<br>შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა:<br>➢ ამოცნობილია დაშვებული შეცდომა და წარმოდგენილია ზედაპირული, არადამაჯერებელი ახსნა;<br>➢ ამოცნობილია დაშვებული შეცდომა, მაგრამ არამართებულადაა ახსნილი;<br>➢ ამოცნობილია დაშვებული შეცდომა, მაგრამ არ არის წარმოდგენილი ახსნა.<br><br>0 ქულა:<br>არ არის ამოცნობილი შეცდომა, ახსნა არამართებულია ან არ არის მოცემული. |

| | |
|---|---|
| 11 | მაქსიმალური ქულა: **8** |

| შეცდომა | უნდა იყოს |
|---|---|
| როგორსაც | როგორებსაც |
| იგივენაირი | იმავენაირი |
| კვეთავენ | კვეთენ |
| ჩვენთაგანისათვის | ჩვენგანისათვის |

- თითოეული შეცდომის გასწორება და შესაბამისი დასაბუთება ფასდება 2 ქულით;
- მხოლოდ შეცდომის გასწორება, სათანადო დასაბუთების გარეშე, ფასდება 1 ქულით;
- სწორად დაწერილი სიტყვის მცდარი ფორმით შეცვლის შემთხვევაში შეფასებას აკლდება 1 ქულა.

| | |
|---|---|
| **12** | ა |
| **13** | გ |
| **14** | ა |
| **15** | დ |
| **16.1** | დ |

| | |
|---|---|
| **16.2** | მაქსიმალური ქულა: 2 |
| | **2 ქულა:**<br>მოცემულია სწორი, დამაჯერებელი მსჯელობა, რა როლითა თუ ფუნქციით იყენებს ავტორი ვეფხვის სიმბოლოს.<br>**1 ქულა**:<br>აპლიკანტი საუბრობს, რა როლითა თუ ფუნქციით იყენებს ავტორი ვეფხვის სიმბოლოს, თუმცა მსჯელობა არადამაჯერებელი / ზედაპირულია.<br>**0 ქულა**:<br>მსჯელობა არამართებულია, არ შეეხება დასმულ საკითხს. |
| **17.1** | მაქსიმალური ქულა: 2 |
| | **2 ქულა:**<br>წარმოდგენილია სწორი, დამაჯერებელი მსჯელობა დავალების პირობაში დასმული საკითხის შესახებ.<br>**1 ქულა:**<br>სწორად არის იდენტიფიცირებული საკითხი, თუმცა წარმოდგენილი მსჯელობა ზედაპირული და სქემატურია, შემოიფარგლება 2-3 სიტყვით.<br>**0 ქულა**<br>საკითხი არ არის ან მცდარადაა წარმოდგენილი. |
| **17.2** | მაქსიმალური ქულა: 2 |

| | |
|---|---|
| | **2 ქულა:**<br>წარმოდგენილია სწორი, დამაჯერებელი მსჯელობა დავალების პირობაში დასმული საკითხის შესახებ.<br>**1 ქულა:**<br>სწორად არის იდენტიფიცირებული საკითხი, თუმცა წარმოდგენილი მსჯელობა ზედაპირული და სქემატურია, შემოიფარგლება 2-3 სიტყვით.<br>**0 ქულა**<br>საკითხი არ არის ან მცდარადაა წარმოდგენილი. |
| **17.3** | მაქსიმალური ქულა: 2 |
| | **2 ქულა:**<br>მოცემულია სწორი, დამაჯერებელი, გამართული მსჯელობა; იდენტიფიცირებული და ახსნილია ფრაზის სათქმელი.<br>**1 ქულა:**<br>იდენტიფიცირებული და ახსნილია ფრაზის სათქმელი, თუმცა პასუხი სქემატურია, დასაბუთება არ არის დამაჯერებელი, შემოიფარგლება 2-3 სიტყვით.<br><br>**0 ქულა:**<br>• არ არის ან არასწორად არის იდენტიფიცირებული საკითხი;<br>• პასუხი არ არის მოცემული. |
| **17.4** | მაქსიმალური ქულა: 1 |
| | **1 ქულა:**<br>წარმოდგენილია სწორი მსჯელობა დავალების პირობაში დასმული საკითხის შესახებ.<br>**0 ქულა**<br>საკითხი არ არის ან არასწორად არის წარმოდგენილი. |
| **17.5** | მაქსიმალური ქულა: 2 |
| | **2 ქულა:**<br>სწორად არის ახსნილი და გააზრებული „მეტაფორული მიძღვნის“ არსი. პასუხი სრულია, მსჯელობა ლოგიკური და ადეკვატურია.<br>**1 ქულა:**<br>სწორად არის განმარტებული „მეტაფორული მიძღვნის“ არსი, თუმცა პასუხი სქემატურია, ზედაპირულია, არასრულია.<br>**0 ქულა:**<br>• პასუხი არაადეკვატურია, არასწორია;<br>• პასუხი არ არის მოცემული. |

| | |
|---|---|
| **17.6** | მაქსიმალური ქულა: 1 |
| | **1 ქულა:**<br>წარმოდგენილია სწორი მსჯელობა დავალების პირობაში დასმული საკითხის შესახებ.<br>**0 ქულა**<br>• საკითხი არ არის ან არასწორად არის წარმოდგენილი. |

| | |
|---|---|
| **17.7** | მაქსიმალური ქულა: 3 |
| | **3 ქულა:**<br>წარმოდგენილია სწორი, დამაჯერებელი, გამართული მსჯელობა მოცემული ფრაზის მოთხრობის მხატვრულ იდეასთან მიმართების შესახებ; მსჯელობის გასამყარებლად მოყვანილია არგუმენტები და მითითებულია შესაბამისი ფრაგმენტები / ციტატები ტექსტიდან.<br><br>**2 ქულა:**<br>წარმოდგენილია სწორი მსჯელობა მოცემული ფრაზის მოთხრობის მხატვრულ იდეასთან მიმართების შესახებ, მსჯელობის გასამყარებლად მოყვანილია არგუმენტები.<br><br>**1 ქულა:**<br>ნაწერში სწორად არის იდენტიფიცირებული მოთხრობის მხატვრულ იდეასთან მოცემული ფრაზის მიმართება, თუმცა მსჯელობა ზედაპირული და სქემატურია (2-3 სიტყვით შემოიფარგლება).<br><br>**0 ქულა:**<br>ნაწერში არამართებულადაა იდენტიფიცირებული მოთხრობის მხატვრულ იდეასთან მოცემული ფრაზის მიმართება; მსჯელობა აცდენილია დავალებაში მოცემულ საკითხს. |
| **18.1** | მაქსიმალური ქულა: 2 |
| | **2 ქულა:**<br>სწორად არის გააზრებული დავალების პირობაში მოცემული სტრიქონები, პასუხი სრულია, მსჯელობა ლოგიკური და ადეკვატურია.<br><br>**1 ქულა:**<br>სწორად არის გააზრებული დავალების პირობაში მოცემული სტრიქონები, თუმცა, პასუხი სქემატურია, ზედაპირულია, არასრულია.<br><br>**0 ქულა:**<br>• პასუხი არაადეკვატურია, არასწორია;<br>• პასუხი არ არის მოცემული. |
| **18.2** | მაქსიმალური ქულა: 2 |
| | **2 ქულა:**<br>სწორად არის ამოცნობილი და ამოწერილი ტაეპები; წარმოდგენილია დამაჯერებელი, გააზრებული დასაბუთება.<br>**1 ქულა**<br>➢ სწორად არის ამოცნობილი და ამოწერილი ტაეპები, თუმცა წარმოდგენილი დასაბუთება ზედაპირული და სქემატურია, აპლიკანტი შემოიფარგლება 2-3 სიტყვით.<br>➢ არ არის ამოწერილი ტაეპები, მხოლოდ მინიშნებაა, მაგრამ დასაბუთება |

| | |
|---|---|
| | წარმოდგენილია.<br><br>**0 ქულა**<br>• შეცდომითაა ამოწერილი ტაეპები, მსჯელობა მცდარია;<br>• არ არის ან მცდარადაა წარმოდგენილი მსჯელობა. |
| **18.3** | მაქსიმალური ქულა: 3 |
| | **3 ქულა:**<br>მოცემულია სწორი, დამაჯერებელი, გამართული მსჯელობა დავალებაში დასმულ საკითხთან მიმართებით, სათქმელი განზოგადებულია.<br><br>**2 ქულა:**<br>მოცემულია სწორი, დამაჯერებელი, გამართული მსჯელობა დავალებაში დასმულ საკითხთან მიმართებით, სათქმელი არ არის განზოგადებული.<br><br>**1 ქულა:**<br>მოცემულია მართებული მსჯელობა დავალებაში დასმულ საკითხთან მიმართებით, თუმცა, პასუხი სქემატურია, ზედაპირულია, არასრულია.<br><br>**0 ქულა:**<br>• მსჯელობა არამართებულია, აცდენილია დავალებაში მოცემულ საკითხს;<br>• პასუხი არ არის მოცემული. |

# აკადემიური უნარები

**წაკითხული ტექსტის გააზრება**

| | |
|---|---|
| 19 | ა |
| 20 | გ |
| 21 | დ |
| 22 | გ |
| 23 | გ |
| 24 | ბ |
| 25 | გ |

ანალიტიკური წერა

26.

| მაქსიმალური ქულა: 11 |
|---|
| **I. შინაარსის რელევანტურობა***<br>*ნაშრომი შეესაბამება მოცემულ საკითხს, პასუხობს დასმულ ამოცანებს.*<br><br>2 ქულა:<br>• ნაშრომი პასუხობს დავალების ყველა მოთხოვნას, არ შეეხება არარელევანტურ საკითხებს.<br><br>1 ქულა:<br>• ნაშრომი მხოლოდ ნაწილობრივ პასუხობს დავალების მოთხოვნებს;<br>• ნაშრომი პასუხობს დავალების მოთხოვნებს, თუმცა მოცემულია არარელევანტური ინფორმაციაც.<br><br>0 ქულა:<br>• ნაშრომი არ პასუხობს დავალების მოთხოვნებს;<br>• შეეხება სრულიად განსხვავებულ საკითხს;<br>• წარმოადგენს დავალების პერიფრაზს.<br><br>**თუ ნაშრომი პირველი კრიტერიუმის მიხედვით შეფასდება 0 ქულით, ის აღარ გასწორდება სხვა კრიტერიუმების მიხედვით.*<br><br>**II. დასაბუთება ***<br>*ნაშრომში ავტორის პოზიცია წარმოდგენილია შესაბამისი დასაბუთებით, მსჯელობა გამყარებულია დამაჯერებელი, ადეკვატური არგუმენტებითა და მაგალითებით.*<br><br>3 ქულა:<br>• მოცემულია საკითხის შესახებ თანმიმდევრული მსჯელობა, მოყვანილია დამაჯერებელი, მრავალფეროვანი, ორიგინალური არგუმენტები, მაგალითები, განხილულია კონტრარგუმენტები;<br><br>2 ქულა:<br>• მოცემულია საკითხის შესახებ თანმიმდევრული მსჯელობა, არგუმენტები თუ მაგალითები მოყვანილია ყველა მოსაზრებისთვის;<br>• მოცემულია საკითხის შესახებ თანმიმდევრული მსჯელობა, არგუმენტითა თუ მაგალითით გამყარებულია მხოლოდ ზოგიერთი მოსაზრება;<br><br>1 ქულა:<br>• არის დასაბუთების მცდელობა, თუმცა, არგუმენტები თუ მაგალითები ზედაპირული, ერთფეროვანი და არადამაჯერებელია;<br><br>0 ქულა:<br>• მსჯელობა არ არის ლოგიკური, თანმიმდევრული, მოსაზრებები არ არის გამყარებული მაგალითებითა და არგუმენტებით;<br>• მსჯელობა არ არის მოცემული. |

** მსჯელობისას ფაქტობრივი შეცდომის დაშვების შემთხვევაში აპლიკანტს მეორე კომპონენტში დააკლდება 1 ქულა.*

III. თხრობის ორგანიზება
*ნაშრომი სტრუქტურულად გამართულია, აზრები მწყობრად, თანმიმდევრულად არის გადმოცემული, თხზულების ნაწილები ერთმანეთთან ლოგიკურადაა დაკავშირებული.*

2 ქულა:
- ტექსტი სტრუქტურულად გამართულია - ნაწერში წარმოდგენილია საკითხის დასმა, მსჯელობა, დასკვნა; აზრები მწყობრად არის გადმოცემული, მონაკვეთები ლოგიკურად უკავშირდება ერთმანეთს;

1 ქულა:
- ნაწერში დასმულია საკითხი, თუმცა, მსჯელობა ზედაპირულია, წარმოდგენილი დასკვნა არ გამომდინარეობს მსჯელობიდან; წარმოდგენილია ტექსტის მხოლოდ ზოგიერთი სტრუქტურული ნაწილი; ერთმანეთს ლოგიკურად უკავშირდება ტექსტის მხოლოდ ზოგიერთი მონაკვეთი.

0 ქულა:
- ნაწერის მხოლოდ მცირე მონაკვეთი ეთმობა მსჯელობას (რამდენიმე წინადადება, პატარა აბზაცი ა. შ. ); მოსაზრებები, ტექსტის ნაწილები ერთმანეთთან ლოგიკურად არ არის დაკავშირებული; ნაწერში არ არის წარმოდგენილი სტრუქტურული ნაწილები - საკითხის დასმა, მსჯელობა, დასკვნა.

IV. სტილი, ლექსიკა
*აზრები ცხადად, ნათლადაა გამოთქმული, ნაწერი ლექსიკურად მდიდარი და სტილისტურად გამართულია, ლექსიკა შეესაბამება დასმულ საკითხს.*

2 ქულა:
- ნაშრომში გვხვდება მხოლოდ უმნიშვნელო სტილური ხარვეზები, ტექსტი ლექსიკურად მდიდარია, აზრი მკაფიოდ და გამართულად არის გადმოცემული, გამოყენებულია საკითხის შესაფერისი ლექსიკა და სტილი.

1 ქულა:
- ნაწერი ლექსიკურად მწირია, თუმცა, გამოყენებული ლექსიკა და სტილი მეტ-ნაკლებად შეეფერება საკითხს.
- ნაშრომში გვხვდება მნიშვნელოვანი სტილური ხარვეზები. გამოყენებული ლექსიკა და სტილი მეტ-ნაკლებად შეეფერება საკითხს.

0 ქულა:
- ნაწერი ლექსიკურად ღარიბია; დაშვებულია უხეში სტილური შეცდომები;
- გამოყენებულია არაადეკვატური ლექსიკა და სტილი.

V. სინტაქსი, მორფოლოგია, პუნქტუაცია
*ნაშრომი სინტაქსურად გამართულია, ნაწერი შესრულებულია თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დაცვით.*

2 ქულა:

- არ არის დაშვებული ან დაშვებულია მხოლოდ უმნიშვნელო სინტაქსური, ორთოგრაფიულ-მორფოლოგიური და პუნქტუაციური შეცდომები, დაცულია თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები.

1 ქულა:

- დაშვებულია სინტაქსური, ორთოგრაფიულ-მორფოლოგიური, პუნქტუაციური შეცდომები, დარღვეულია თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები.

0 ქულა:

- დაშვებულია უხეში სინტაქსური, ორთოგრაფიულ-მორფოლოგიური, პუნქტუაციური შეცდომები; უხეშად არის დარღვეული თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები.

იმისათვის, რომ ნაშრომი ყველა კრიტერიუმის მიხედვით გასწორდეს, ის უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

- უნდა შეეხებოდეს დავალებაში მოცემულ საკითხს;
- არ უნდა წარმოადგენდეს დავალების პირობის პერიფრაზს;
- არ უნდა შეიცავდეს ინფორმაციას, რომლის საშუალებით შესაძლებელია აპლიკანტის პიროვნების იდენტიფიცირება - სახელსა და გვარს (რეალურსა თუ გამოგონილს), მეტსახელს, ხელმოწერას და ა.შ.
- შესრულებული უნდა იყოს ისეთი ხელწერით, როგორის წაკითხვაც შესაძლებელია.

თუ ნაშრომი არ აკმაყოფილებს ამ პირობათაგან რომელიმეს, ის შეფასდება 0 ქულით. ნაშრომი უნდა შეიცავდეს, სულ მცირე, 100 სიტყვას. სხვა შემთხვევაში ის გასწორდება მხოლოდ I და II კრიტერიუმების მიხედვით.